პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 18 აპრილი, 1943 წ. № 88 (6713) ფასი 20 კაპ.

სამხედრო წესები სსრ კავშირის რკინიგზებზე

სახალხო მეურნეობაში არ არის ისეთი დარგი, რომელიც ისე მჭიდროდ დაკავშირებული იყოს არმიასთან, როგორც ტრანსპორტი. ტრანსპორტი მომსახურებას უწევს ფრონტს. ტრანსპორტი ერთმანეთთან აკავშირებს ფრონტსა და ზურგს. არ კმარა გყავდეს ჯარები, გქონდეს იარაღი, საომარი მასალა—საჭიროა დროზე მიიყვანო და მიიტანო ისინი ფრონტზე. არ კმარა გქონდეს ქვანახშირი, ნავთი, ლითონი—საჭიროა დროზე მიაწოდო ისინი ქარხნებს.

საბჭოთა ხელისუფლების ჯერ კიდევ პირველ თვეებში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვდა და ამბობდა, რომ მოგვარებული რკინიგზების გარეშე „თანამედროვე ომი ლიტონი ფრაზაა". რკინიგზის ტრანსპორტის მიერ ტვირთზიდვის დარგში მთავრობის დავალებათა ზუსტად და თავის დროზე შესრულებას ომის პირობებში განსაკუთრებით დიდი სამხედრო და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ომის დროს ტრანსპორტი ჩვენი ქვეყნის სამხედრო აპარატს ორგანული ნაწილი ხდება.

ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მტკიცე, მკაცრი დისციპლინა. რომ განაღდებულ იქნას რკინიგზის ტრანსპორტის გადამწყვეტი და ყოვლისშემცველი როლი, — ამბობდა ამხანაგი სტალინი,—საჭიროა უწინარეს ყოვლისა ყველა ნაწილთა შეწყობა და მათი მუშაობა ზუსტად განსაზღვრული წესით. სწორედ ეს არის ის, რასაც ეწოდება დისციპლინა ტრანსპორტზე.

რკინისებური დისციპლინა წარმოადგენს შეწყობილი მუშაობისა და წესრიგის საფუძველს რკინიგზის კონვეიერში. ლენინი ჩვენი სამეურნეო მუშაობის წარმატებისათვის უდავო საჭიროებად სთვლიდა ერთიანი ნებისყოფისადმი უყოყმანო დამორჩილებას. „რკინიგზებისათვის, — აღნიშნავდა ლენინი,—იგი ერთიორად და ერთისამად უფრო საჭიროა".

რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა დიდი უმეტესობა სამამულო ომის დღეებში პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე. თეულათასობით საბჭოთა რკინიგზელები მუშაობენ როგორც თავისი სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტები. ფრონტისპირა გზებზე, ზურგში ისინი დაუცხრომლად მუშაობენ და მთელ თავის ძალ-ონლეს ანდომებენ ფრონტისადმი დახმარებას. თუ ვითარება მოითხოვს, სახელოვან რკინიგზელებს მტრის არტილერიის სროლისა და ავიაციის მხრივ დაბომბვის დროსაც კი მიჰყავთ სამხედრო ეშელონები და გბადუღლად ებმებიან მტერთან ბრძოლაში. ზურგში მოწინავე რკინიგზელები ძვირფას ინიციატივას იჩენენ, იძიებენ შინაგან შესაძლებლობებს მატარებლების მიმოსვლის დაჩქარებისა და მოძრავი შემადგენლობის სანიმუშო წესრიგში შენახვისათვის.

ამავე დროს სახელმწიფოს არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ ფაქტს, რომ რკინიგზელთა ერთი ნაწილი, რომელიც ტრანსპორტის მუშაკთა უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენს, უდისციპლინობას იჩენს, უპასუხისმგებლოდ ეკიდება საქმეს და ამით დეზორგანიზაცია შეაქვს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში. ამის შეწყნარება არასგზით არ შეიძლება, განსაკუთრებით ომის დროს.

რკინიგზის ტრანსპორტზე, ამბობდა ამხანაგი სტალინი, ყველაზე დიდი ხელმძღვანელებით დაწყებული და „პატარა" მუშაკებით გათავებული, თვით მეისრემდე, მზეთავამდე, დამლაგებელ ქალამდე—ყველა დიდია, ყველა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ტრანსპორტი წარმოადგენს კონვეიერს, სადაც ყოველი მუშაკის, ყოველი ხრახნის მუშაობას მნიშვნელობა აქვს. დისციპლინის ერთი დამრღვევის უხეირო მუშაობას შეუძლია ჩაშალოს რკინიგზის ტრანსპორტის მრავალი ასეული პატიოსანი მშრომელის მეცადინეობა.

სახელმწიფო ვერ დაუშვებს, რომ რკინიგზის ტრანსპორტის მუშებისა და მოსამსახურეების უდისციპლინო უმცირესობა ფუშავდეს ფრონტის შეუფერხებელ მომარაგებას და ხელს უშლიდეს პატიოსან მშრომელებს შეასრულონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

რკინიგზებზე საჭიროა სამხედრო სულისკვეთება და მკაცრი სამხედრო წესრიგი! ვინც ტრანსპორტზე დისციპლინას არღვევს, ის ასუსტებს თავდაცვის საქმეს.

რკინიგზის ტრანსპორტზე მკაცრი წესრიგის დამყარების მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სამხედრო წესები გამოაცხადა ყველა რკინიგზაზე. ბრძანებულება გამოქვეყნებული იყო გუშინდელი გაზეთების ნომრებში.

ამიერიდან რკინიგზის ტრანსპორტის ყველა მუშა და მოსამსახურე ომის პერიოდში მობილიზებულია და მიმაგრებულია რკინიგზის ტრანსპორტზე სამუშაოდ. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს სამსახურებრივი დანაშაულობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა თანაბრად. სამსახურებრივი დანაშაულობისათვის, სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, რკინიგზელებს სამუშაოდან დაითხოვენ და ფრონტზე გაგზავნიან საჯარიმო ასეულებში, თუ მათ უფრო მკაცრი სასჯელი არ ეკუთვნით. რკინიგზების ხელმძღვანელ მუშაკებს წინადადება ეძლევათ უზრუნველჰყონ განუხრელი გამოყენება „წესდებისა რკინიგზის ტრანსპორტის მუშებისა და მოსამსახურეების დისციპლინის შესახებ".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას მოწონებით შეხვდნენ რკინიგზელთა სტალინური არმია და მთელი საბჭოთა ხალხი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ყველა რკინიგზაზე სამხედრო წესების შემოღების შესახებ ხალხი და წითელი არმია ხედავენ უაღრესად მნიშვნელოვან აქტს, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების შემდგომი ამაღლებისაკენ. პატიოსანი რკინიგზელები ბრძანებულებაში ხედავენ თავიანთი საკუთარი ნებისყოფის გამოხატულებას, რომელიც მიმართულია ტრანსპორტზე რკინისებური სამხედრო დისციპლინის დამყარებისაკენ. ახლა რკინიგზელთა მოშვებული და უდისციპლინო ნაწილი ვეღარ შეძლებს ძირი გამოუთხაროს ტრანსპორტს და შებღალოს რკინიგზელთა ღირსება!

უცხოელ ინტერვენტებთან ომის დროს 1918 წლის ნოემბერში გამოცემულ იქნა ლენინური დეკრეტი რკინიგზების მთელ ქსელზე სამხედრო წესების შემოღების შესახებ. ლენინი გამოდიოდა იქიდან, რომ ომი არის ომი და იგი რკინისებურ დისციპლინას მოითხოვს. გერმანელ ოკუპანტებთან საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი უდიდეს დისციპლინიანობას მოითხოვს ყოველი საბჭოთა ადამიანისაგან, ყოველი მშრომელისაგან, ყოველი მეომრისაგან, ყოველი რკინიგზელისაგან. რკინიგზებზე სამხედრო წესების შემოღება აამაღლებს დისციპლინას ტრანსპორტზე მის წინაშე მდგომი ამოცანების დონემდე. რკინიგზებზე სამხედრო წესების შემოღება ტრანსპორტის მართვის მთელ სისტემას კიდევ უფრო დაქვემდებარებულს გახდის ომის ინტერესებისადმი, ჩვენი გამარჯვების ინტერესებისადმი.

სამხედრო წესრიგი ტრანსპორტზე, მეთაურთა ნებისყოფისადმი უყოყმანო დამორჩილება, რკინიგზელების სამხედრო შემსრულებლობა დაეხმარება წითელ არმიას ახალ-ახალი გამანადგურებელი დარტყმები აგებოს მტერს და მოიპოვოს სრული გამარჯვება წყეულ გერმანელ დამპყრობლებზე.

„პრავდის" მოწინავე, 17/IV.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

17 აპრილის დილის ცნობა

16 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილები სარტილერიო და თოფუტყვიამფრქვევის სროლას ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მტრის 5 ძელმიწური, მოსპობილია 2 ქვემეხი და რვამდენიმე ნაღმსატყორცნი. 6 ნაწილის 9 სნაიპერმა 19 გერმანელი გაჟლიტა. სხვა ქვეგანაყოფის სნაიპერებმა ლეიტენანტმა სოკოლოვმა და წითელარმიელებმა გრიგორიევმა და რიაზანოვმა 9 ჰიტლერელი მოსპეს.

* * *

ჭალ. ბელის სამხრეთით ჩვენი მზვერავების მცირე ჯგუფმა მოწინააღმდეგის განლაგებაში შეაღწია და გზატკეცილზე ჩასაფრდა. მალე გერმანელთა ადალი გამოჩნდა. მზვერავებმა ახლო მოუშვეს მტერი, თავს დაესხნენ ადალს, დახოცეს გერმანელები, ხელთ იგდეს ცხენები, ტვირთი და უდანაკლოდ დაბრუნდნენ თავიანთ ქვეგანაყოფში. 6 შენაერთის მოიერიშე მფრინავებმა იერიში მიიტანეს რკინიგზის სადგურზე. თავდასმის შედეგად მოსპობილ იქნა 6 ვაგონი საომარ მასალიანად, 1 ორთქლმავალი და მოწინააღმდეგის 15 ავტომანქანა.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ჩვენი ნაწილები აღგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. ღამე 120 ჯარისკაცისაგან შემდგარმა გერმანელთა ქვეითი ჯარის რაზმმა ჩვენს თავდაცვაში სოლივით შემოჭრა. 6 ნაწილის მებრძოლები გარს შემოერტყნენ ჰიტლერელთა ამ რაზმს და მთლიანად გაჟლიტეს იგი. წამოღებულია 6 დაზგისა და 10 ხელის ტყვიამფრქვევი, 15 ავტომანქანა და სხვა დაკლა.

* * *

ჩუგუევის ჩრდილოეთით ჩვენი არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 4 ძელმიწური, ჩაბზობილია ორი ნაღმსატყორცნი ბატარეის ცეცხლი და გაფანტულია გერმანელთა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი. 6 ნაწილის მზვერავებმა მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიჭრნენ და ტყვედ წამოიყვანეს რამდენიმე ჰიტლერელი.

* * *

ყუბანში გამანადგურებელმა მფრინავებმა ამხ. პეტრენკომ და პოლოსუმმა იერიში მიიტანეს გერმანიის ბომბდამშენთა ჯგუფზე და რამდენიმე წუთის განმავლობაში 2 „იუნკერს-88" ჩამოაგდეს. გვარდიის კაპიტანმა ამხ. პოკრიშკინმა დიდ სიმაღლეზე შენიშნა გერმანელთა ოთხი ავიაგამანადგურებელი, ბრძოლა გაუმართა მათ და მტრის 3 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

* * *

გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციამ, ავტომატური ზარბაზნებით შეიარაღებულმა, სცადა გარს შემორტყმოდა და მოესპო ჩერნიგოველ პარტიზანთა რაზმი. ჩასაფრებულმა საბჭოთა პატრიოტებმა ახლო მოუშვეს ჰიტლერელები და მოულოდნელად აუტეხეს ხმელი ტყვიამფრქვევის სროლა. ამ ბრძოლაში პარტიზანებმა 80 გერმანელი მოსპეს და 24 ტყვედ წაიყვანეს. ხელთ იგდეს დაკლა: 2 ქვემეხი, 6 ტყვიამფრქვევი, 26.000 ვაზნა, 1 რადიოსადგური და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 21-ე სარტილერიო პოლკის მე-5 ბატარეის ლეიტენანტმა ვერნერ ფელკემ განაცხადა: „მე ლეიტენანტთა სკოლაში ვსწავლობდი გროსსბორნში. გენერალ-ლეიტენანტი მაინდლი, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტზე სარდლობდა ავიასაველე დივიზიას, სკოლაში ლექციებს კითხულობდა რუსეთში ომის წარმოების თავისებურებებზე. მაინდლი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლის სიძნელეებს. იგი ამბობდა, რომ პარტიზანები სასიცოცხლო მნიშვნელობის კომუნიკაციებს აგრეკენ, თავს ესხმიან აღალებსა და გარნიზონებს. დასასრულ მაინდლმა სთქვა, რომ, ყველა მიღებული ღონისძიების მიუხედავად, პარტიზანების ლიკვიდაცია ვერ მოხერხდა. პირიქით, რუსეთში პარტიზანული ჯგუფების მოქმედება სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბს იღებს და უდიდეს ზარალს აყენებს გერმანიის არმიას".

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ მხეცობის შესახებ, რაც გერმანელ ფაშისტ არამზადებს ზაფხეთნათ ლენინგრადის ოლქის სოფელ კალიტაში: „ჰიტლერელებმა რომ ჩვენი სოფელი დაიკავეს ყველა მცხოვრები, გაძარცვეს. გერმანელთა ოკუპაციის მანძილზე სოფელში 150 კაცი მოკვდა შიმშილით. გლეხებს აკრძალული ჰქონდათ ტყეში სიარული. გერმანელმა ჯალათებმა დახვრიტეს სპილ შირიაევი, ავდოტია ტროფიმოვა, ალექსანდრა ბაგროვა, ანტონინა ივანოვა, მიხეილ ბლინოვი, ანა ბისტროვა და სხვა მცხოვრებნი, რომელნიც ტყეში ფიჩხს აგროვებდნენ. უკანდახევისას ჰიტლერელმა მკვლელებმა ცეცხლი წაუკიდეს სოფელს. ცეცხლში დაიწვა 46 საცხოვრებელი სახლი და ბევრი სამეურნეო ნაგებობა". აქვს ხელს აწერენ: ივანე სტულოვი, ე. სტულოვა და სოფლის სხვა მცხოვრებნი.

17 აპრილის საღამოს ცნობა

17 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა გემებმა ბარნცის ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 12.000 ტონა წყალწყვეთა.

* * *

16 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 6 ტანკი, 40 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, აეფთქეს საომარი მასალის საწყობი, ჩაახშეს მოწინააღმდეგის 8 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი.

* * *

ყუბანში 6 შენაერთის ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ და ცალკეულ უბნებზე მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს იგერიებდნენ. ორი დღის ბრძოლების განმავლობაში ფრონტის ამ უბანზე გაჟლეტილია 4.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და დაშწვარია 17 ტანკი, მოსპობილია 39 ქვემეხი, 31 ნაღმსატყორცნი და 100-ზე მეტი ტყვიამფრქვევი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დაკლა, რომელშიც არის 8 ქვემეხი. სხვა უბანზე მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე მოიტანა კონტრიერიშები. ჩვენს პოზიციებზე წინ მოდიოდნენ რუმინელები, მათკი გერმანელი მეავტომატეები მოჰყვებოდნენ. საბჭოთა ქვეგანაყოფებმა გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინეს რუმინელებს. რუმინელები უკან გაბრუნდნენ. მაშინ გერმანელებმა სროლა აუტეხეს თავიანთ „მოკავშირე" რუმინელებს. ჩვენმა ჭაბრძოლებმა კონტრდარტყმით უკუაქციეს მოწინააღმდეგე და პოზიციები გაიუმჯობესეს. მოწინააღმდეგემ მარტო ამ უბანზე დასტოვა 3 დაზიანებული ტანკი და თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 300-მდე გვამი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილები ესროდნენ მოწინააღმდეგის თავმოყრილ ქვეითს ჯარსა და საცეცხლე წერტილებს. 6 ნაწილის არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა გაჟლიტეს ერთ ასეულამდე გერმანელთა ქვეითი ჯარი, ჩაახშეს 5 საარტილერიო და 2 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა თვითმფრინავი.

* * *

იზიუმის სამხრეთით 6 ნაწილის ქვეგანაყოფები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ და 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. დაზიანებულია გერმანელთა 2 ტანკი და მოსპობილია 20 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე იმ ბატარეის მეზენიტეებმა, რომელსაც კაპიტანი ეიჩინსკი მეთაურობს, გერმანელთა 3 ბომბდამშენი ჩამოაგდეს. ერთი თვითმფრინავის ეკიპაჟი წამოყვანილია ტყვედ. უფროსმა სერჟანტმა კოლესნიკოვმა ტანკსაწინააღმდეგო თოფით ჩამოაგდო მტრის ბომბდამშენი „იუნკერს-87".

* * *

ორიოლის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა 31 მარტიდან 14 აპრილამდე ლიანდაგიდან გადაადო გერმანელთა 13 ეშელონი ჯარებიანად და ტვირთიანად. დუბროვკა-ორჯონიკიძეგრადის გზის უბანზე აფეთქებულია რკინიგზის ლიანდაგები და შეჩერებულია მატარებელთა მიმოსვლა. სხვა უბანზე კრაკოვის სახელობის რაზმის პარტიზანებმა 8 აპრილს დანაღმეს რკინიგზის ლიანდაგები. ნაღმებზე აფეთქდა გერმანელთა ეშელონი, მოსპობილია 17 ვაგონი, ორი საზენიტო ქვემეხი და გაჟლეტილია რამდენიმე ათეული ჰიტლერელი. მეორე ლიანდაგზე მიმავალი სამხედრო მატარებელმაც მარცხი განიცადა და ცეცხლი წაეკიდა.

* * *

როსტოვის ოლქის ნოვოშახტინსკში თარეშის დროის განმავლობაში გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ქალაქისა და მისი მიდამოების 4.000-მდე მშვიდობიანი მცხოვრები დახოცეს. გერმანელთა ოკუპაციის დროს გესტაპოს ჯალათებიდან ყოველდღე გაჰყავდათ პატიმრთა ჯგუფები დასახვრეტად. სიკვდილით დასჯა ხდებოდა აერთდროულად, ბაგალტალის ხევში, აგრეთვე წყალსაწყე კოშკთან. დახვრეტის წინ ჯალათები აბუჩად იგდებდნენ და დასცინოდნენ თავიანთ მსხვერპლს. ნოვოშახტინსკის განთავისუფლების შემდეგ შექმნილი ფაშიზმის მსხვერპლთა დამკრძალავი კომისია აწარმოებს იმ ფოტოლენტებისა და ორმოების გათხრას, სადაც ჰიტლერელებმა დახვრეტილი საბჭოთა მოქალაქეების გვამები ჩაეყარეს. კომისიამ შეადგინა აქტები და გერმანელი ჯალათების ხელით დღეპუღ მშვიდობიან მცხოვრებთა სახელობითი სიები. თითქმის ყველა გვამს მხეცური წამების კვალი აჩნევია. გერმანელებმა აწამეს ძველი მაღაროელი დანიელ პისმენსკი, რომელსაც ქალაქში ყველა პატივს სცემდა, ხოლო მისი გვამი ქვის სამტეხლოში გადაადგეს. ელმავლის მემანქანე ანტონინა ივანოვას ჰიტლერელებმა 15 ჭრილობა მიაყენეს ხიშტით ზურგსა და თავში; საბავშვო ბაღის გამგეს ეკატერინე პარშინას გერმანელებმა ხელის მტევნები დააჭრეს დახვრეტის წინ; № 3 შახტის მებოგეს ვასილ დოლგოვს ცხვირი მოსჭრეს და თვალები დასთხარეს. ფაშისტმა მტაცებლებმა მოჰკლეს ზინაიდა ჩეპაკინა, მისი 9 წლის ქალიშვილი და 7 წლის ვაჟი. მხეცურად აწამეს მეშახტე ბორზენკო, ინჟინერი ბერესტინსკი და მრავალი სხვა მცხოვრებნი. გერმანელებს მიერ ნაწამები და დახვრეტილი საბჭოთა ადამიანების რამდენიმე ასეული გვამი გადატანილ იქნა ქალაქის ბაღში და დამარხულია ძმათა საფლავში.

საბჭოთა თვითმფრინავების თავდასხმა ქალაქ დანციგსა, კენიგსბერგსა და ფილზიფზე

16 აპრილს ღამით საბჭოთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ ქალაქ დანციგს, კენიგსბერგსა და ტილზიტს და ორი საათის განმავლობაში ბომბავდნენ ამ ქალაქების სამხედრო-სამრეწველო ობიექტებს. ბომბარდირების შედეგად ბევრგან დიდი ხანძრები გაჩნდა და ძლიერი აფეთქებანი მოხდა.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი, გარდა სამისა, თავის ბაზაში დაბრუნდა.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ შპოლას ქარხნებს. მანჯაიმსა და ლუდვიგსჰაფენს

ლონდონი, 17 აპრილი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგცემს, რომ 16 აპრილს ღამით ინგლისის ავიაცია თავს დაესხა შკოდას ქარხნებს პლზენში (ჩეხოსლოვაკია) და გერმანიის სამხედრო მრეწველობის ცენტრებს—მანჰაიმსა და ლუდვიგსჰაფენს. ამ ოპერაციებში ბომბდამშენი ავიაციის 600-ზე მეტმა თვითმფრინავმა მიიღო მონაწილეობა. ინგლისს 55 თვითმფრინავი ბაზებში არ დაბრუნებულა.

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმები ნეაპოლსა და კაგლიარზე

ლონდონი, 17 აპრილი (საკადესი). ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალების შტაბი იუწყება, რომ ინგლისის ავიაცია 15 აპრილს ღამით თავს დაესხა ნეაპოლის ნავსადგურს. ნავსადგურის ობიექტებს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს. ბომბები დააყარეს აგრეთვე შენობებს ქალაქის რაიონში. იმავე ღამეს ინგლისის ავიაციამ დაბომბა მესინა (სიცილია) და როსანო (სამხრეთი იტალია).

ამერიკის საჰაერო ძალთა შტაბი გადმოგცემს, რომ „ლიბერეიტორი" ბომბდამშენები გუშინ დღისით თავს დაესხნენ კატანიას.

ამერიკის ავიაცია თავს დაესხა ბრემენს

ლონდონი, 17 აპრილი (საკადესი). ოპერაციათა ევროპის ასპარეზის ამერიკის შეიარაღებულ ძალთა შტაბმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ 17 აპრილს დღისით ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა იერიში მიიტანეს „ფოკვულფის" საავიაციო ქარხანაზე ბრემენში. მიზნის რაიონში აღნიშნულია მრავალი ბომბების გასკდომა. ბომბდამშენებმა, რომელნიც უკავიაგამანადგურებლებად მიფრინავდნენ, თავდასხმა მოახდინეს მიუხედავად იმისა, რომ მტრის საზენიტო არტილერია ინტენსიურ ცეცხლს უშენდა. და მტრის ავიაგამანადგურებლები ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამერიკის ბომბდამშენებმა მოსპეს მტრის 50-ზე მეტი თვითმფრინავი. ბრემენზე მოწყობილი თავდასხმიდან უკან არ დაბრუნებულან 16 ბომბდამშენი.

ამერიკის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 17 აპრილი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგცემს, რომ 16 აპრილს დღისით ამერიკის ავიაცია თავს დაესხა ლორიანისა და ბრესტის ნავსადგურებს.

გაუფცვები იტალიაში

ლონდონი, 17 აპრილი (საკადესი). გაზეთ „ტაიმსის" კორესპონდენტი იტალიის საზღვრიდან იტყობინება, რომ ამას წინათ ანსალდოს ქარხნებში გენუაში დიდი გაფიცვა მოხდა. გაფიცვები მოხდა აგრეთვე იტალიის სამხრეთ ნაწილში, სადაც გაიფიცნენ, კერძოდ, სანავსადგურო ქალაქების ბარისა და ბრინდიზის არსენალთა მუშები. გაფიცულები მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას, აგრეთვე იმას, რომ შესწყდეს მუშების დაპატიმრება და ადმინისტრატიული გადასახლება, რასაც ფაშისტი ხელისუფალნი სჩადიან.

ვთესოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად

საგაზაფხულო თესვა მცხეთის რაიონში

(მცხეთა, „კომუნისტის" საეც. კორესპონდენტისაგან)

მცხეთის რაიონში საგაზაფხულო თესვისათვის მზადება ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყო. პრაქტიკულად გაიშალა მუშაობა მტს-სა და კოლმეურნეობებში. საქ. კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომს რაიაღმასკომთან ერთად ბევრჯერ ჩაუტარებია სპეციალური თათბირები საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განსახორციელებლად. პარტრაიკომის ბიურომ ყველა სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობას მიამაგრა პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებსაც დაეგალათ საგაზაფხულო თესვის პერიოდში ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევა. ამ ღონისძიებათა გატარებამ დიდად შეუწყო ხელი კოლმეურნეობებს საგაზაფხულო სამუშაოთა ოთხიანობის დროის ტემპებით გაშლის საქმეში.

გეგმით რაიონში გაზაფხულზე უნდა დაითესოს 4.525 ჰექტარი ყველა სახის კულტურები. 16 აპრილისათვის, ხვნის გეგმა რაიონის შესრულებული ჰქონდა 72 პროცენტით, ხოლო ყველა კულტურის თესვისა—37 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებულ 1.753 ჰექტარიდან აღნიშნული დღისათვის სიმინდი დათესილი იყო 463 ჰექტარზე.

რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმებს, ვადაზე ადრე ამთავრებენ თესვას. აგროლონისძიებათა გატარებით ჭმნიან ყველა პირობას უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად. მაგალითად, ხვნათესვის გეგმები ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადმა" (თავმჯდომარე ამხ. ბეგაძე), ახალი ნიჩბისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ნ. ქსოვრელი), ნატახტარის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ხაჩხაძე). ბარგად მუშაობენ წილაანის ბერიას და ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობები და სხვ.

მაგრამ რაიონში ყველგან როდია ასეთი მდგომარეობა. არიან კოლმეურნეობები, რომლებიც აჭიანურებენ საგაზაფხულო სამუშაოებს, არღვევენ ხვნის ვადებს, ვერ ასრულებენ სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებებს. მაგალითად, სოფ. გიორგისტალის ტელმანის სახელობის კოლეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. კ. გეგეჭკორი) სასიმინდე ფართობის მოხვნა 25 მარტისათვის უნდა დაემთავრებინა, ფაქტიურად ეს სამუშაო 16 აპრილისათვისაც არ ჰქონდა დამთავრებული. ამ დღისათვის კოლეურნეობას სიმინდის თესვა დაწყებული არ ჰქონდა ხვნის გაჭიანურებაში ბრალი მიუძღვის მცხეთის მტს-ის სატრაქტორო პარკსაც, რომელმაც 21 დღის განმავლობაში კოლეურნეობას სხვადასხვა კულტურებისათვის მხოლოდ 25 ჰექტარი მოუხნა.

კოლმეურნეობაში სუსტია შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია შრომა; 1 აპრილიდან 15 აპრილამდე მოანგარიშეს, ამავე დროს პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ს. ხირდაველს, კოლმეურნეთა პირად ანგარიშებში არ გაუტარებია გამომუშავებული შრომადღეები; სათვიტაციო-მასობრივი მუშაობა მიგიწყებულია, გასული წლის ოქტომბრიდან არ გამოუშვიათ კედლის გაზეთი. ეს ნაკლოვანებები უარყოფით გავლენას ახდენენ მუშაობაზე. კოლმეურნეობაში გეგმებს ვერ ასრულებენ; არ სჩანს რაიონიდან და კოლეურნეობიდან ხელმძღვანელი ამხანაგების დახმარება, სუსტია მტს-ს ტექნიკურ-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა.

15 აპრილისათვის სიმინდის თესვა დაწყებული ხარ აქვს მცხეთის სტალინის სახელობის კოლეურნეობას, რომელიც თავდებულ-მარე ამხ. დ. სახოშვილი „აკრავ" ამინდის დადგომას ელის.

მუხრანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ი. ხოშაბაევი) სოფ. ძალის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მიერ სოცშეჯიბრებაში გამოწვეულ ახალ ვალდებულებათა აღებით უპასუხა. ამ ვალდებულებების მიხედვით კოლმეურნეობას სიმინდის თესვა 15 აპრილისათვის უნდა დაემთავრებინა, ფაქტიურად ამ დღისათვის თესვის გეგმა კოლმეურნეობას მხოლოდ სანაზვერად ჰქონდა შესრულებული.

ვენახის სამუშაოებში ჩამორჩენა აქვს მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, რომლის თავმჯდომარეა ამხ. ს. პაპაშვილია. ამ კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადას (ბრიგადირი ილო ოქროპაშვილი) ჰქონა 25 მარტამდე უნდა დაეშადებინა, ფაქტიურად ეს სამუშაო 16 აპრილისათვის არ ჰქონდა მოთავებული. კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა სიმინდის თესვის ვადაზე ადრე დღით ადრე დამთავრებას.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობაში ზოგიერთი წევრი უხეშად არღვევს შრომის დისციპლინას. მაგალითად, ნინო ჯიქურის ინვალისა და თებერვალში არაცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია, ლიზა ჩეკურაშვილი ერთ თვეზე მეტია დაუკითხავად არის წასული სხვა სოფელში. იანვრიდან მას არც ერთ დღეს არ უმუშავია.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზოგან დღემდე არ არის დამუშავებული ლაგოდეხელ კოლმეურნეთა მიმართვა უხვი მოსავლის მისაღებად სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ; ბრიგადები და რგოლები ჩამოყალიბებული არიან სოცშეჯიბრებაში. მაგალითად, მუხრანის სტალინის სახელობის, მარქსის სახელობის და სოფ. გიორგისტალის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებში არავითარი საბუთი არ აღმოჩნდა იმისა, რომ მათ ნამდვილად განინიელეს ლაგოდეხელ კოლმეურნეთა მოწოდება და ამასთან დაკავშირებით ახალი ვალდებულებები იკისრეს, ამავე კოლმეურნეობათა ბრიგადები და რგოლები 16 აპრილისათვის ჩაბმული არ იყვნენ სოცშეჯიბრებაში, გაფორმებული არ ჰქონდათ სოცშეჯიბრების ხელშეკრულებები. საჭიროა ამ ნაკლოვანებათა დაჩქარებით გამოსწორება.

საომარი ვითარება მოითხოვს, რომ მცხეთის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, მტს-ის დირექციამ და პოლიტგანყოფილებამ გააძლიერონ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, სისტემატიურად ადგილზე შეამოწმონ თავიანთ გადაწყვეტილებათა შესრულება და მთელი ძალებისა და სახსრების მობილიზაციით უზრუნველჰყონ საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარება უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად.

ვ. მთვრალაშვილი

თამბაქ

სტალინგრადის გმირული დაცვის მონაწილე ნ გვარდიული შენაერთის ქართველ მებრძოლთა და მეთაურთა ერთი ჯგუფი. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: სხედან გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ვ. სვანიძე, გვარდიის გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე, გვარდიის მეორე რანგის სამხედრო ექიმი გ. მაჭავარიანი, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი კ. ჭყონია; დგანან—გვარდიის უფროსი სერჟანტი ს. ხოფერია, გვარდიის ლეიტენანტი შ. ყავრიშვილი, გვარდიის ლეიტენანტი ვ. ბოგვერაძე, გვარდიის წითელარმიელი ვ. ოძელაშვილი, გვარდიის წითელარმიელი შ. ბალანჩივაძე.

სტალინგრადის დაცვის მონაწილე გვარდიელთა ჯგუფი თბილისში

სტალინგრადის ისტორიული დაცვის მონაწილე ნ გვარდიული შენაერთის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ჯგუფმა, რომელიც 16 აპრილს თბილისის მშრომელებს ეწვია, გუშინ, 17 აპრილს, დაათვალიერა თბილისის ზოგიერთი მსხვილი საწარმო. საღამოს საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში შესდგა გვარდიელთა ჯგუფის შეხვედრა საქართველოს მწერლებთან და ხელოვნების მუშაკებთან.

საზეიმო სხდომა დაიწყო მწერალთა კავშირის მდივნის პოეტ ი. აბაშიძის შესავალი სიტყვით. ამხ. ი. აბაშიძე საქართველოს მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა სახელით მხურვალედ მიესალმა სტალინგრადის დამცველ გვარდიელთა ჯგუფს ამხ. თავართქილაძის შენაერთიდან. დამსწრეებმა სტალინგრადის სახელოვან მებრძოლებს მხურვალე ოვაციები გაუმართეს.

გვარდიელთა სახელით ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა სომეხმა მწერალმა რ. ჭოჩარმა, რომელმაც დამსწრეთ გადასცა სტალინგრადის დაცვის მონაწილე ნ გვარდიული შენაერთის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა მხურვალე გვარდიული სალამი. ამხ. ჭოჩარმა დამსწრეთ გააცნო გვარდიელთა ჯგუფის ყველა წევრი და მოკლედ დაახასიათა მათი საომარი საქმეები. მან ილაპარაკა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილთა მტკიცე მეგობრობაზე, რომელიც კიდევ უფრო განმტკიცდა სტალინგრადის დაცვისათვის ბრძოლებში. სტალინგრადმა მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ საბჭოთა კავშირი მედგრად დაიცავს თავის წმიდა მიწა-წყალს და მთლიანად გასწმენდს ფაშისტ ყაჩაღთაგან ჩვენს საბჭოთა სამშობლოს.

სიტყვებით გამოვიდნენ და ბრძოლის ეპიზოდები მოგვითხრეს გვარდიის უფროსმა სერჟანტმა ს. ხოფერიამ, გვარდიის უმცროსმა სერჟანტმა ა. აკოფიანმა, გვარდიის მეორე რანგის სამხედრო ექიმმა კ. ხოჭოლავამ, გვარდიის ლეიტენანტმა ა. ახუნდოვმა, გვარდიის წითელარმიელმა ა. ხანჯიანმა, გვარდიის ლეიტენანტმა ვ. ბოგვერაძემ.

შემდეგ პოეტებმა წაიკითხეს გმირული სტალინგრადისადმი მიძღვნილი ლექსები. ამ. მაშაშვილმა წაიკითხა თავისი ლექსი „დგას ორი ქალაქი—ორი ძმად ნაფიცი“, ა. აბაშელმა—„სტალინგრადი“, ს. ეფუმა — „ღასცხეთ, დაჭართნ“, ი. გრიშაშვილმა — „სტალინგრადის მებრძოლთ“.

საღამო დამთავრდა ი. აბაშიძის სიტყვით. მან დამსწრეთა სახელით მადლობა უძღვნა გვარდიელ სტუმრებს.

მზვერავები ბრძოლას ეწევიან

მოქმედი არმია, 15 აპრილი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ეს ამბავი რამდენიმე დღის წინათ მოხდა ფრონტის ერთერთ უბანზე ილმენის ტბის ჩრდილოეთით. გვარდიის ნ ნაწილის მზვერავთა ჯგუფს დავალება მიეცა ხელში ჩაეგდო „მოენე“.

აქ, წინა კიდეზე, გერმანელები ღამ-ღამობით ახალ თავდაცვითს ნაგებობებს აშენებდნენ. ნაშუადამევს მესანგრეებთან ერთად აქ მეავტომატეები მოდიოდნენ. ისინი წინ გადიოდნენ და პატრულირებას ეწეოდნენ. მარჯვნივ და მარცხნივ ორი ძელმიწური იყო და მერაკეტეები იდგნენ, რომელნიც განუწყვეტლივ აშუქებდნენ ადგილმდებარეობას.

ძნელი იყო წინა კიდესთან მისვლა, მაგრამ მზვერავთა ჯგუფმა, რომელსაც გვარდიის ეფრეიტორი ნიკოლოზ სპრინგისი მეთაურობდა, საუცხოოდ შეასრულა საბრძოლო ბრძანება.

მზვერავები ორი დღე-ღამის განმავლობაში ადევნებდნენ თვალს მოწინააღმდეგის მოქმედებას. ისინი ორი დღე და ღამე იწვნენ მდნარ თოვლში, ჭაობის წყალში, შენიღბული იყვნენ ნაყარ ხეებში და თვალს არ აშორებდნენ წინა კიდეს. გერმანელებამდე სულ 80 მეტრი იყო. მესამე ღამეს კი, გერმანელ მესანგრეთა მისვლამდე ორი საათით ადრე, წინ გახოხდნენ. პირველნი დაიძრნენ მზვერავები ბულა და მარტინოვი. მათ ტყის ხერეს მიაღწიეს, სადაც გერმანელები თავიანთ სამუშაოს ნიღბავდნენ, და აქ დაიმალნენ მოკრილი ნაძვების ტოტებში. მათ ხოხვით მიჰყვნენ მზვერავი გვარდიელები სპრინგისი, პიჩუგინი და მინცანი.

გავიდა ორი დაუსრულებელი საათი. ბოლოს, ნაშუადამევს ფეხის ხმა მოისმა. გერმანელი მესანგრეები სამუშაოდ მოდიოდნენ. მეავტომატეებმა, რომელნიც მათ ჰფარავდნენ, წინ წამოიწიეს და თავიანთი პოსტი დაიკავეს ხერეს გადაღმა. მესანგრეებმა — ისინი ცხრაშეტნი იყვნენ—იარაღი ერთ ადგილას დააწყეს და ცულებს მოჰკიდეს ხელი. მზვერავები სწორედ ამ მომენტს უცდიდნენ.

ღამის წყვდიადში გრანატების აფეთქების ხმა და ავტომატების გამაყრუებელი ჭახა-ჭუხი გაისმა. გვარდიელებმა სროლა აუტეხეს მესანგრეებს. მზვერავებმა პიჩუგინმა, ბულმა და მინცანმა ფაშისტთა შორის ატეხილი არევ-დარევით ისარგებლეს, თავზარდაცემული ჰიტლერელი შეიპყრეს და თან წამოათრიეს. იგი აღმოჩნდა მესანგრეთა 126-ე ბატალიონის 2ე-3 ასეულის ჯარისკაცი რუდოლფ გრაფი.

ამ დაზვერვის ყველა მონაწილე დაჯილდოებულია ორდენებით.

„ინდივიდუალური ბოსტანი“

სახელგამმა გამოსცა გ. ჯაფარიძის წიგნი „ინდივიდუალური ბოსტანი“, რომელიც შეიცავს ყველა საჭირო ცნობას, რაც ყოველ მებოსტნეს დასჭირდება.

წიგნში მოთავსებულია შემდეგი მასალები: საბოსტნე ნაკვეთის მოწყობა, ბოსტნეული კულტურების განაწილება თარგების მიხედვით, ნიადაგის დამუშავება, კვლების მოწყობა, საბოსტნე ნიადაგის განყიერება, ბოსტნეულ კულტურათა დამატებითი კვება, თესლის მომზადება დასათესად, ბოსტნეულ კულტურათა ჯიშები, თესვისა და დარგვის ნორმები, თესვის წესები, ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანა, დარგვა და მოვლა, ნიადაგის გათოხნა-გაფხვიერება, ნათესების გამეჩხერება, მორწყვა. ბოსტნის ზოგიერთი მავნებლები, ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა. წიგნში აღწერილი და დახასიათებულია თითქმის ყველა საბოსტნე კულტურა, რაც კი ჩვენში ითესება: კარტოფილი, თავიანი, ყვავილოვანი და კიტრეა კომბოსტო, პამიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა, კიტრი, ლობიო, სიმინდი, ხახვი, პრასა, ნიორი, სტაფილო, ჭარხალი, წითელი და თვის ბოლოკი, ოხრახუში, ნიახური, ისპანახი, წიწმატი, სალათა, ცერეცო (ყამა), ქინძი, რეკანი, ქონდარი.

ავტორს დაუმუშავებია და ცხრილების სახით მოუცია წიგნში ბოსტნეულ კულტურათა ექვსმინდვრიანი თესლბრუნვა და თესვ-დარგვის ნორმები. წიგნს დართული აქვს აგრეთვე ილუსტრაციები და სქემები: ნაკვეთის დაგეგმვის სქემა, ქართული ბარის, შალთას, ქართლური და იმერული თოხების, ფოცხისა და ბოსტნის თოხის, ჩითილის დარგვის, ზოგიერთი კულტურების მოვლის ნახატები.

გ. ჯაფარიძის წიგნი „ინდივიდუალური ბოსტანი“ ერთადერთი სახელმძღვანელოა ამ დარგში (ქართულ ენაზე). საგარეუბნო მეურნეობებმა, ინდივიდუალურმა და კოლექტიურმა მებოსტნეებმა უნდა შეიძინონ ეს წიგნი, რომელიც მათ დიდ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს.

წიგნი, რომლის რედაქტორია ნ. ჯიბუტი, შეიცავს 84 გვერდს და ღირს 5 მანეთი. წიგნის შეძენა შეიძლება სახელგამის ყველა მაღაზიაში.

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება

მეორე ადგილზე

საკავშირო სოცშეჯიბრების მარტის შეჯამების მიხედვით ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკას მიენიჭა მეორე პრემია. ამ თვეში ფაბრიკამ საწარმოო გეგმა 131,6 პროცენტით შეასრულა, კერძოდ, სპეცშეკვეთებისა—107,5 პროცენტით. ამასთან გაუმჯობესებულ იქნა პროდუქციის ხარისხი. ნორმით დაწესებული 75 პროცენტის ნაცვლად ფაბრიკამ გამოუშვა 77 პროცენტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

მარტში განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ფაბრიკის მე-3 კორპუსმა (სამკერვალო საამქროს უფროსი ამხ. ჩქარეული, პარტბიუროს მდივანი ამხ. ბარკოვი) და პირველმა სამკერვალო კორპუსმა (უფროსი ამხ. ხაჩიანი, პარტბიუროს მდივანი ამხ. მათუზოვი).

მარტში მოპოვებული საწარმოო წარმატების გამო ფაბრიკის დირექციამ მიიღო სარკავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ლუკინის შემდეგი დეპეშა: „ეულოცავ ფაბრიკის მუშებს, მოსამსახურეებს და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს სრულიადსაკავშირო სოცშეჯიბრების მარტის შედეგების მიხედვით მე-2 პრემიის მინიჭებას. დარწმუნებული ვარ, რომ წინასამაისო სოცშეჯიბრებაში ჩაბმული ფაბრიკის კოლექტივი ახალ წარმატებებს მიაღწევს მუშაობაში და მოიპოვებს საკავშირო პროფსაბჭოს და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალ წითელ დროშას“.

შ. ბაკაშვილის ბრიგადის ახალი წარმატება

წითელწყაროს („კომუნისტის“ საკ. კორ.). ბურღვის ოსტატმა ამხ შ. ბაკაშვილმა წინასამაისო სოცშეჯიბრებაში ჩაბმისას თავისი ბრიგადის სახელით ვალდებულება აიღო ვადაზე ადრე დაემთავრებინა № 215 ჭაბურღილის ბურღვა.

ამხ. ბაკაშვილის ბრიგადამ ვალდებულება უკვე გაანაღდა. ჭაბურღილი 30 დღით ადრე დაამთავრა და გადასცა საექსპლოატაციოდ.

ბრიგადამ კვლავ ახალი ვალდებულება იკისრა.

ირ. მოლოდინი

გუმბრინის ამოღების დეკადური დავალება გადაჭარბებით არის შესრულებული

ქუთაისი, 16 აპრილი (საქდესი). აპრილში წარმატებით მუშაობს გუმბრინის წარმოება, რომელმაც ნატეხი გუმბრინის ამოღების პირველი დეკადის დავალება 111,2 პროცენტით შეასრულა. წინასამაისო შეჯიბრების ვალდებულებას პირნათლად ასრულებენ № 1 შახტი (უფროსი ამხ. ქებაძე) და № 2 შახტი (უფროსი ამხ. მშვენიერაძე).

აპრილში განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს მოწინავე მუშებმა ამხ. მ. გურგუშიძემ, შ. ბზიკაძემ, ი. გურგენიძემ და ა. მაქსიმენკომ.

1942 წლის სრულიადსაკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებელთა მიღწევისათვის სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრმა გუმბრინის 7 მუშაკი დაჯილდოდა ნიშნით „სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებული“. დაჯილდოებულთა შორის არიან წარმოების დირექტორი ამხ. ჩიტიძე, № 2 შახტის უფროსი ამხ. ალ. ქებაძე, სტახანოველი მუშა შ. ბზიკაძე და სხვები.

დღეიდეგი

სჯიმსონი ჯუნისში წარმოებული ბრძოლების შესახებ

ვაშინგტონი, 16 აპრილი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი სტიმსონი პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა სომაარი მდგომარეობის მიმოხილვით და განაცხადა, რომ ჩრდილოეთ აფრიკის კამპანიის გადამწყვეტი ფაზა, როგორც სჩანს, უკვე ახლოა, მაგრამ ღერძის სახელმწიფოებს ჯერ კიდევ დიდი ძალები მოეპოვებათ ამ რაიონშია. როგორც სჩანს, ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანიასა და იტალიას ჰყავთ 175.000-დან 200.000-მდე ჯარი.

გენერალმა ალექსანდერმა, განაგრძო სტიმსონმა, შეიმუშავა „დიუშური შეტევის“ გეგმა, რომელშიც ინგლისის მერვე არმია ამ დგუშის თავის როლს ასრულებდა, ამერიკელებმა, ფრანგთა ზოგიერთმა ნაწილებმა და ინგლისის პირველმა არმიამ შეჰქმნეს ცილინდრის დასავლეთი კედელი, ხოლო ზღვამ — აღმოსავლეთი კედელი. ამერიკის ჯარებს, რომელთაც დასავლეთი კედლის სამხრეთი ნაწილი ეკავთ, ბრძანება მიეცათ არ გასცილებოდნენ განსაზღვრულ ხაზს. „დიუშური შეტევის“ გეგმა, სთქვა სტიმსონმა, სწორად იყო შემუშავებული და ოსტატურად განხორციელდა.

მტერს ამჟამად ძლიერი ბუნებრივი პოზიციები უჭირავს, და არის იმის ნიშნები, რომ მან გაამაგრა სტრატეგიულ რაიონებში შექმნილი რთული საველე პოზიციები. გარდა ამისა, მას აქვს ორი საუცხოო ნავსადგური და ათობით კარგი აეროდრომი. როგორ აქვს მოწინააღმდეგეს სურსათისა და საწვავის საქმე—ეს არ ვიცით, მაგრამ გაძლიერებული ყდება—მიზნდოს მასალები, იმას მოწმობს, რომ მოწინააღმდეგე ისწრაფვის შეინარჩუნოს საკომუნიკაციო ხაზები.

დღემდე, განაგრძო სტიმსონმა, არავითარი ნიშანი არ არის მოწინააღმდეგის ჯარების მასობრივი ევაკუაციისა. თვითმფრინავები ამარაგებენ მის ჯარებს და გაჰყავთ დაჭრილნი.

სტიმსონმა აღნიშნა შესაძლებლობა ევაკუაციისა ჰაერითა და ზღვით რამდენიმე კვირის განძლიერზე. საკვლევია დასაჯერებელია, სთქვა მან, რომ ღერძის სახელმწიფოები გადაწყვეტილებას მიიღებენ რაც შეიძლება მეტი დრო მოიგონ და რაც შეიძლება მეტი ზარალი მიაყენონ მოკავშირეებს, თუნდაც ეს ჩრდილოეთ აფრიკაში ღერძის სახელმწიფოთა ჯარების ძირითადი მასის დაკარგვასთან იყოს დაკავშირებული. მოკავშირეთა ჯარებს რიგხვობრივი უპირატესობა აქვთ ხმელეთზე და ჰაერში, გაბარგობენ დარტყმებს ღერძის სახელმწიფოთა ჯარებზე და ეწევიან შეთანხმებულ შეტევას, რომელიც კულმინაციურ პუნქტს უახლოვდება.

სტიმსონი შეეხო მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმებს გერმანიის და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნების სამრეწველო და სატრანსპორტო ცენტრებზე და სთქვა: გამანადგურებელი დაბომბვა, რაც ინგლისის ბაზებიდან ხდება, ამიერიდან უფრო გაძლიერდება და მომავალ თვეებში გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

საომარი მოქმედება ჯუნისში

ლონდონი, 17 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ ტუნისის ფრონტზე აღნიშნულ იქნა ადგილობრივი ხასიათის გაძლიერებული ავტივობა მეჯეზელ-ბაბის ჩრდილოეთით მდებარე უბანზე, აგრეთვე ბორცვთა რაიონში, სადაც ფრანგთა ნაწილები ბრძოლებს ეწევიან ენფიდავილის ხაზის დასავლეთ ფლანგზე. მერვე არმიის მოქმედების რაიონში პატრულთა აქტივობა გრძელდება. საერთოდ მდგომარეობა მთელ ფრონტზე უცვლელია.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 16 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენებმა უეივეიკის (ახალი გვინეა) რაიონში, იერიში მიიტანეს იაპონელთა ქარავანზე, რომელიც 6 სავაჭრო გემისა და 3 სამხედრო ხომალდისაგან შესდგებოდა. 2 გემი თითოეული 8.000 ტონა წყალწყვისა ჩაძირულია, მესამე იძულებული გახდა ნაპირზე გარიყულიყო.

მოკავშირეთა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს სამხედრო ობიექტებზე გასმატასა და რაბაულში (კუნძული ახალი ბრიტანეთი), ახალ გვინეაზე და არუს, ტენიმბერისა და ტიმორის კუნძულებზე.

15 აპრილს არაკანის ფრონტზე (ბირმა) ინგლისის ჯარებმა წარმატებით მიიტანეს იერიში იაპონელებზე მაიუს გორაკების რაიონში. იაპონელთა ნაწილებმა მნიშვნელოვანი დამარცხება განიცადეს.

ნიუ-იორკი, 16 აპრილი (საკდესი). ოფიციალური ცნობის თანახმად, 13 აპრილს ამერიკელთა თვითმფრინავებმა ათჯერ დაბომბეს იაპონიის სამხედრო ობიექტები კისკის კუნძულზე (ალეუტის კუნძულები). თავდასხმა მოხდა აგრეთვე სამხედრო ობიექტებზე პრომეს რაიონში (ბირმა) და ახალი გეორგიის კუნძულებზე (სოლომონის კუნძულები).

უმაგალითო წარმატება უილკის ნიგნისა სსრ კავშირის შესახებ

ნიუ-იორკი, 15 აპრილი (საკდესი). ამას წინათ ა. შ. შტატებში გამოვიდა უილკის წიგნი „მსოფლიო მთლიანია“. იგი შესდგება, ემთავრესად, იმ შთაბეჭდილებათა აღწერისაგან, რაც უილკის საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მიუღია. მოუხდავად იმისა, რომ წიგნი სულ ერთი კვირის წინათ გამოვიდა, გამომცემლები „საიმონი და შუსტერი“ აცხადებენ, უკვე გაყიდულია ან მიღებულია შეკვეთა 370.000 ცალზე. ასეთი წარმატება ამერიკაში ჯერ არც ერთ წიგნს არა ჰქონია. მარტო ერთ დღეს, 13 აპრილს, გამომცემლობამ შეკვეთა მიიღო 48.000 ცალზე. პრესა უილკის წიგნს ერთსულოვნად კარგ შეფასებას აძლევს.

გამოხატავს რა საბჭოთა კავშირისადმი ამერიკელთა ინტერესის ფართოდ გავრცელებულ ზრდას, ბევრი პროვინციული გაზეთი აგრეთვე კარგ შეფასებას აძლევს ეურნალ „ლაიფის“ უკანასკნელ ნომერს, რომელიც მთლიანად მიძღვნილია საბჭოთა კავშირისადმი. ჟურნალ „ლაიფის“ ამ ნომერის მთელი ტირაჟი სულ გაიყიდა. ბევრ მაღაზიაში ყველა ეგზემპლარი რამდენიმე საათის განმავლობაში გასაღდა.

ა. შ. შტატებში შეიქმნა „საავიაციო მრეწველობის ნაციონალური საბჭო“

ნიუ-იორკი, 16 აპრილი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, ა. შ. შტატების აღმოსავლეთისა და დასავლეთის შტატების 16 საავიაციო ფირმამ შეჰქმნა „საავიაციო მრეწველობის ნაციონალური საბჭო“. იგი აერთიანებს ამერიკის ყველა თვითმფრინავთმშენებელ ქარხანათა 90 პროცენტს, დიდძალ მოტორმშენებელ და პროპელერის დამამზადებელ ქარხნებს. საბჭო ამოცანად ისახავს დაიჩქაროს სამხედრო თვითმფრინავების წარმოების ტემპები და შეათანხმოს საავიაციო მრეწველობის მოქმედება. ამ საბჭოში შემავალი ფირმები ამჟამად 16 მილიარდზე მეტი დოლარის შეკვეთებს ასრულებენ.

საბჭოთა საქართველოს სახანძრო დაცვა

18 აპრილს სრულდება საბჭოთა სახანძრო დაცვის ოცდახუთი წლისთავი.

საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელმა დიდმა ლენინმა 1918 წლის 18 აპრილს ხელი მოაწერა დეკრეტს „ცეცხლთან ბრძოლის სახელმწიფო ღონისძიებათა მოწყობის შესახებ“. ლენინის დეკრეტით საძირკველი ჩაეყარა საბჭოთა სახანძრო დაცვას ხანძრებთან ბრძოლის გეგმაზომიერ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა საფუძველზე.

რევოლუციამდე ჩვენს ქვეყანაში მოუგვარებელი იყო ხანძართან ბრძოლის საქმე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა პროვინცია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან რესპუბლიკის სახანძრო დაცვა სათანადოდ ვითარდება.

წლითიწლობით მატულობს რიცხვი ქალაქის ახალი და გასამხედროებული სახანძრო რაზმებისა, რომლებიც დაკომპლექტებულია ტექნიკურად მომზადებული ადამიანებით.

თავის სახანძრო უშიშროებას აძლიერებს საკოლმეურნეო სოფელი. სოფლის საბჭოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, კოლმეურნეობებთან და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან შექმნილია ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმები, რომელთა განკარგულებაშიც არის საჭირო ინვენტარი და სახანძრო მოწყობილობა. ამჟამად ნებაყოფლობითი რაზმების რიგებში ათიათასობით მონაწილე ითვლება.

დიდი ბელადისა და ბრძენი მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** მოწოდებამ ომიანობის დროის შესაფერისად გარდაჰქმნა სახანძრო დაცვის სამსახურიც. მის წინაშე წამოიჭრა დიდი ამოცანა—ფართოდ დანერგოს მოსახლეობაში ცეცხლშამქიდი საავიაციო ბომბების ჩაქრობის ცოდნა და ჩვეული, უზრუნველჰყოს საწარმონი და საცხოვრებელი სახლები ცეცხლთან ბრძოლის ელემენტარული საშუალებებით.

ყველგან, საწარმოებში, დაწესებულებებში, საცხოვრებელ სახლებში და სოფლად, მოწყობილია სახანძრო რგოლები. ამჟამად ჩვენ სახანძრო მუშაკთა მთელი არმიები გვყავს.

საქართველოს სახანძრო დაცვამ საკუთარი ძალებით მოაგვარა პირველადი სახანძრო ინვენტარის—ძალაყინების, ნაჯახების, ქამრებისა და სხვ. წარმოება.

1942 წელს საქართველოს სახანძრო დაცვის სამმართველომ რამდენიმე ასეული მუშაკი ეკონომიკურ ქალაქისა და საკოლმეურნეო სოფლის ეკონომიკურ ინსტიტუტებში. გარდა ამისა, ინსტიტუტებში ოფიციალურ სემინარებში ადამიანებად ამოდენილ იქნა 300 კაცი. 77 ოფიცერი და საუწყებო სახანძრო დაცვის 40 უფროსი.

სპეციალურ დისციპლინებთან ერთად მებრძოლებმა და მეთაურებმა ძალიან კარგად გაიარეს საყოველთაო სამხედრო სწავლების პროგრამა. სახანძრო დაცვის მრავალი მებრძოლი და მეთაური იმყოფება წითელი არმიის და სამეთაური ხელოვნების ფრონტებზე, სადაც ისინი თავდადებით იბრძვიან სამამულო ომის ფრონტებზე სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

სამამულო ომის ვითარებაში საქართველოს სს რესპუბლიკის შინსახკომის სახანძრო დაცვაში ფრონტზე წასულ მამაკაცთა ადგილები ბევრგან ქალებმა დაიკავეს. თბილისში შექმნილია სპეციალური ქალთა რაზმი. მეხანძრე ქალებმა გაიარეს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება და მამაკაცებს არ ჩამორჩებიან მუშაობაში.

1942 წლის მეოთხე კვარტალში სოციალისტური შეჯიბრების შედეგად საქართველოს სახანძრო დაცვამ პირველი ადგილი დაიკავა. სსრ კავშირის შინსახკომის 1943 წლის 14 თებერვლის ბრძანებით მას მიეკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა და გადაეცა სსრ კავშირის სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს და სახანძრო დაცვის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მადლობა გამოუცხადა საქართველოს სს რესპუბლიკის შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველოს მთელ ხელმძღვანელ შემადგენლობას.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი ნაკლი მოგვეპოვება. შესასრულებელია დიდი სამუშაო, მრავალი სიძნელე მოგვეღალა; საჭიროა იეშნა მთელი ძალ-ღონის მობილიზება იმ პასუხსაგები ამოცანების შესასრულებლად, რაც სამამულო ომმა წამოაყენა საქართველოს სახანძრო დაცვის მუშაკთა წინაშე.

კ. მიქაუტაძე,
სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი, საქართველოს სს რესპუბლიკის შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი. (საქდესი).

საქართველოს რემედასის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ამ დღეებში ჩატარდა საქართველოს რემედასის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი:

საქართველოს რემედასის მუშაობა და ამოცანები სამამულო ომის პერიოდში და 1942 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით რემედასის მოწინავე ორგანიზაციების დაჯილდოების შესახებ.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქართველოს რემედასის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. თ. აბაშაძის მოხსენება.

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს რემედასის ორგანიზაციებმა საშუფო ჰოსპიტლებში 3.257 ლექცია-მოხსენება ჩაატარეს, ჰოსპიტლების ბიბლიოთეკებისათვის 83.565 ჭაატვრული და პოლიტიკური ხასიათის წიგნი შეაგროვეს. გარდა ამისა, 100 ტონამდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ხილი გაუგზავნეს დაკრილ მებრძოლებს. რემედასელი დიასახლისები სისტემატურად მორიგეობენ ჰოსპიტლებში, დედობრივი მზრუნველობით უვლიან დაჭრილებს, უკერავენ და ურეცხავენ თეთრეულს.

საქართველოს რემედასელებმა დიდძალი საჩუქრები გაგზავნეს ფრონტზე. რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა ომის დაწყებიდან 8 ეგზემპლარამდე სხვადასხვა სახის საჩუქარი გაუგზავნა წითელი არმიის მებრძოლებს. კარგად მიმდინარეობს ეს მუშაობა საქართველოს რემედასის მთელ რიგ რაიონულ ორგანიზაციებში. ლენინგრადის რემედასელებმა 20 ტონამდე საჩუქარი გაგზავნეს ფრონტზე; ასევე დიდძალი საჩუქრები გაგზავნეს ჭიათურის რაიონისა და ქალაქის, ლაგოდეხის, ფოთის, თიანეთის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ოჩამჩირის, ვანის, მახარაძის და მთელი რიგი სხვა რაიონებისა და ქალაქების რემედასელებმა. რემედასელებმა შეაგროვეს და ფრონტზე გაგზავნეს მრავალი თბილი ტანსაცმელი.

რემედასის ზოგიერთი რაიონული ორგანიზაცია დღემდე სუსტად მუშაობს. ასეთ რაიონთა რიცხვს ეკუთვნიან ახალქალაქის, ჩხოროწყუს, კასპის, ყაზბეგის, ყარაიის, ტყიბულის, საგარეჯოს, თბილისის მოლოტოვისა და კიროვის რაიონების ორგანიზაციები.

მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: მ. ალექსანიანი, ნ. ყიფიანი, მ. ხარაზოვა, თ. მაჭავარიანი, კ. დემეტრაშვილი, შ. ტყეშელაშვილი, ო. წულაძე, ვ. ირემაძე, კ. ტყემალაძე, ს. ქუჩუბერია, ვ. შაყრკო, გ. დარსაძე, ხ. ქორიძე, ს. მასხულია და პროფ. ათაბეგოვი.

პლენუმზე მგზნებარე სიტყვები წარმოსთქვეს რუმინეთის ყოფილმა პოლიტპატიმრებმა ლ. დუბასარსკაიამ და ნ. გრინჩენკომ.

პლენუმმა პირველ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს რემედასის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სოცშეჯიბრების ეიურის დადგენილება 1942 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით რემედასის მოწინავე ორგანიზაციების დაჯილდოების შესახებ.

ეიურის დადგენილებით საქართველოს რემედასის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც სამი წელია ხელთ უპყრიათ ლენინგრადის რემედასელებს, ამავე ორგანიზაციამ შეინარჩუნა, სსკოლო გარდამავალი წითელი დროშა ისევ ჭიათურის რაიონის სვერის საშუალო სკოლას დარჩა. რემედასის აპარის საოლენ და ჭიათურის საქალაქო კომიტეტებს მიეცათ სიგელი და ფასიანი ჯილდო—თითოეული 500 მანეთის ღირებულებისა. სიგელები და პირველი ხარისხის ფასიანი ჯილდოები მიენიჭათ ჭიათურის, ახალციხისა და ვანის რემედასის რაიონულ კომიტეტებს. დაჯილდოებულია აგრეთვე თეთრიწყაროს, სიღნაღის, ოჩამჩირის, ხულოს და თბილისის ლენინის რემედასის რაიკომები, 20 პირველადი ორგანიზაცია და 50 ორგანიზაციის ხელმძღვანელი და რემედასელი აქტივისტი.

ლექციები ჯ მოხსენებები

19 აპრილს, ხალამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება პროფ. **ათაბეგოვის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.**

ბილეთების მიღება შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღ. 8 საათამდე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომი აცხადებს, რომ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3095169, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომის მიერ ლუბა თეოფანეს-ასულ **ახვლედიანის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებში

18 აპრილს: სახოპერა — „პატარა კახი“, **რუსთაველის სახელობის** — „ღალატი“. **მარჯანიშვილის სახელობის** — „რაც გინახავ ვეღარ ნახავ“. **მუსიკალური კომედიის**—„სპორწინო მოგზაურობა“. **ხანკულტურის** — „სტუმარ-მასპინძლობა“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—„ვალია სოკოლოვა“.

კინოებში

რუსთაველის სახ. — „სტალინგრადი“, **ოქტომბერი**—„რაიკომის მდივანი“, **დამკვრელი**—„მაშინჯა“, **კომკავშირელი** — „ამანგელდი“, **სპარტაკი** — „ცირკი“, **ლუქსემბურგის სახ.**—„ცხი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **26 კომ. სახ.** — „69-ე პარალელი“, **კომინტერნი** — „მხედრები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მშობლები შამშე და ოლღა გველესიანები იუწყებიან, რომ 18/IV, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
თამარ გველესიანი-კაპანაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 827

სასტუმრო „თბილისის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ 18/IV, 2 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია გ. მელუას ხიძის
ვანიჩკა არჩვაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 831

თბილისის 65-ე საშ. სკოლის პედკოლექტივი იუწყება რ. შენგელიას მეუღლის
გიორგი დიმიტრის-ძე შენგელიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 18/IV, 3 ს.

თბილ